რა, 1918 წ. მარტის 25 (7) № 66
წლიწადი მეოთხე

კვირა, 1918 წ. მარტის 25 (7) № 66
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უხელმოწერო გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოიტანონ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათ.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს, მარტის 28-ს

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ

გაიმართება

# საღამო-მეჯლისი

# ქართული ნადიმით

I სიცილი — სამკუთხედი — სიცილი.
ოხუმრობა 1 მოქმედებად.

II ოპერეტა მშვენიერ ელენეს მაძიებელნი
მუსიკა-ცეკვა თამ ში 2 მოქმედებად.

მონაწილენი: ტ. აბაშიძე, ელ. ანდრონიკაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი, ივ. ზარველი და სხვ...

III ლიტერატურა-დეკლამაცია-სცენები...
ც. ამირეჯიბი, ნ. დავითაშვილი, ვ. აბაშიძე, გრ. რობაქიძე, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, დ. კიპიანი, ვ. მაჭავარიანი, მ. ხერხეულიძე.

ფანდური სიმღერა-საზანდარი-ორკესტრი.

საღამოს დიასახლისი: ქ-ნი ნინო ნიკოლოზის ასული ღენერალ გაბაშვილისა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ბილეთები იყიდება „საქართველოს" კონტორაში და ქართულ კლუბში.

---

## საქარ. ეროვ. დემოკ. პარტიის თბილისის კომიტეტი

იწვევს კვირას, მარტის 25-ს, სწორედ შუადღის 12 საათზე „ახალ კლუბის" შენობაში თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრთა

## საზოგადო კრებას.

განსახილველია:

ა) საორგანიზაციო საკითხები.
ბ) კოოპერატივის მოწყობის საკითხი.
გ) სარევიზიო კომისიის არჩევა.
დ) მორიგი საქმეები.

---

## საქართველოს ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის კომიტეტისაგან

ქ. თბილისის კომიტეტი ამით აუწყებს თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს, რომ იგი გადავიდა ახალს ბინაზე—ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლაში. ბიურო ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათამდე ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

## ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

---

## ქართული თეატრის განცხადება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-დე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას. თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიული საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყო 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

4—931—1 ქართული დრამატიული საზოგადოება.

---

## საქართველოს ეროვ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის კომიტეტი

იწვევს კვირას, მარტის 25-ს, დილის 11 საათზე ახალ კლუბის დარბაზში ქ. თბილისის

მესამე და მეოთხე უბნებში მცხოვრებ პარტიის წევრების

## საზოგადო კრებას

საუბნო კომიტეტის ასარჩევად.

კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

---

## ქართული კლუბი

კვირას, მარტის 25-ს, ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება

ფრ. შილლერის ტრაგედია

## ყაჩაღები

დრ. 5 მოქმედ.

მონაწილეობს მთელი დასი.

წარმოდგენა დაიწყება სრულ 8 ს. ✦ ✦ ბილეთები იყიდება.
2—933—2

---

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

## საქართველო და რუსეთი

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

კვირას, 25 მარტს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეგობრის და მამიდაშვილის

# ლევან ციციშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართა ალექსანდრა კალატოზიშვილისა, თამარ და რახიელ ამირეჯიბის ასულნი. 1—1552—1

25 მარტს, დღის პირველ საათზე ქაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის თავი ქართლში ვერაგულად მოკლულის

# ლევან ამირინდოს ძე ციციშვილის

გარდაცვალებისა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს დედა მიცვალებულისა ქეთევან სვიმონის ასული ციციშვილისა, მეუღლე—ნადეჟდა ილიას ასული და შვილები—მარო, ტასო, ქეთინო და ამირიკო ციციშვილები. 1—1549—1

18 მარტს ჯავშნიან მატარებელზე თაირტთან ბრძოლის დროს ტრაგიკულად მოკლულ იქმნა

# პეტრე სილიბისტროს ძე ჩხაიძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერმიდო ალმასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, ამმონ და ანტონ, ძმის შვილები გიორგი, შალვა და ნოე ჩხაიძეები. სამშობლოში გასვენების და დაკრძალვის დღე გამოცხადდება მას შემდეგ, როცა მიცვალებულს ჩამოასვენებენ თბილისში. 1—1554—1

# ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 25 მარტს, შუადღის 12 საათზედ დანიშნულია წევრთა წლიური კრება.

წესდების § 29 მუხლის თანახმად ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია: 1917 წ. ანგარიში, 1918 წ. ხარჯთ აღრიცხვა, ზოგიერთი მუხლთა შეცვლა, მიმდინარე საქმეები. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები: მამასახლისებისა, ამათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა პირებისა. (4—930—4

## ეროვნული ფრონტი

ჩვენი მთავრობისა და ხელმძღვანელი პარტიის აზრით ყოველივე ის, რაც ამიერ-კავკასიაში ხდება, გამოწვეულია ან ბოლშევიკების მოღვაწეობით, ანდა კიდევ „მემამულეთა“ ინტრიგით. ცხინვალის ამბები, სომეხ-თათართა შეტაკება განჯა-ერივანში, ბაქო და სხვა, ყოველივე ეს მათის აზრით ოსმალეთის ფეშებისა, ან და ბაქოელ ბოლშევიკების მეთაურის შაუმიანის საქმეა. ეროვნული ანგარიშები, ეროვნული შუღლი და დავა მათთვის ისეთი რამ არის, რომელსაც არ აქვს იმდენი დამოუკიდებელი ძალა, რომ ასეთი ამბები გამოიწვიოს. ეროვნული უთანხმოებაა მათის აზრით უთუოდ იარაღია ბოლშევიკებისა და ოსმალეთის ხელში.

ჩვენ კი გვგონია, რომ სწორედ წინააღმდეგ ამისა ხდება ყოველივე. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ უკანასკნელი მოსაზრების ჭეშმარიტება დაინახოთ.

რა აქვს საერთო ბოლშევიკებთან სომხის ბურჟუაზიის პარტიას—დაშნაკცაკანების პარტიას? მართალია ჩვენმა მენშევიკებმა ეს პარტია სოციალისტურ პარტიების სათვალავში მიიღეს, მაგრამ ეს მას სოციალისტურად ვერ გადააქცევს. ეს პარტია ისევეა სოციალისტური, როგორც მუსულმანთა პარტია „მუსავატი“, ან შეიძლება კიდევ ნაკლებად.

და ეს სომხური ბურჟუაზიული პარტია ჯერ მაშინ მიეხარო აშკარად ბოლშევიკებს, როდესაც შაუმიანმა თავისი თავი კავკასიის ბოლშევიკურ მთავრობად გამოაცხადა და თბილისის მახლობლად ბოლშევიკთა ეშელონები იდგა, მაშინ დაშნაკელებმა ნახტომი ვერ გაზომეს და პოლიტიკურ ხრამში გადიჩეხენ. შაუმიანი იძულებული იყო გაპარულიყო და ამიერკავკასიის მთავრობა კი ისევ თავის ადგილზე დარჩა.

ეხლა კიდევ მოაწყვეს ბოლშევიკებმა საკმაოდ მომზადებული გამოსვლა ამიერ-კავკასიის მთავრობისა და ჩვენი მოძმეთ ელემენტების წინააღმდეგ. აქაც დაშნაკცაკანები მათის გვერდშია. ამ პარტიის მეთაურები ამიერ-კავკასიის მთავრობაში შევიდნენ, როგორც სრულუფლებიანი მინისტრები და თვით პარტია კი ამ სამინისტროს არსებობას უწყობს და მის დამხობას ცდილობს!

რით აიხსნება ეს პოლიტიკური საოცრებები? განა იმით, რომ დაშნაკცაკანლები ჟუმაყიფილი არიან მენშევიკური ზომიერებით და ბოლშევიკური სოციალურს რეფორმებსა და სიმდიდრეთა სოციალიზაციას ეტრფიან?

რამდენად გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ დაშნაკცაკანების სულისკვეთება ვერ გამოარკვიოს.

დაშნაკცაკანელებისთვის სამოთხეა ისეთი ძალა, ისეთი მთავრობა, რომელიც მუსულმანებსაც შეებრძოლება და ქართველებსაც, თუნდაც ის სატანა და ჯოჯოხეთი იყოს. ასეთია ბოლშევიკური მთავრობა. ბოლშევიკების ჩვენს ქვეყანაში გაბატონებით, გაბატონდება ჩვენში ველიკორუსული პოლიტიკა, რის მოტრფიალე მუდამ იყვნენ სომხის ერის მეთაურები, და ჩვენი სამშობლო ისევ რუსულ ცენტრალიზმის ბრჭყალებში მოემწყვდევა. სომხის ავანტიურისტ შოვინისტებისთვის დაიწყება ახალი ვორონცოვ-დაშკოვის დრო, ხოლო წითელ ფერად შეღებილი. ბოლშევიკური რუსეთი სომხებზე იქნება დაყრდნობილი და სომხის ნაციონალისტები ამიერ-კავკასიის სვე-ბედის გამგე იქნებიან. ან რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ამიერ-კავკასიის რუსობა, თვით მისი შავრაზმული და აგრეთვე კადეტური ელემენტები, გულის ფანცქალით მოელიან ბაქოდან ბოლშევიკებს?

რად მოხდა ჩვენს სამშობლოს შუაგულში ჩამოხიზნულ ოსთა საერთო აჯანყება? რით აიხსნება, რომ მთელი ოსობა, რომელნიც საქართველოს საუკეთესო მიწებზე არიან ჩამოსახლებულნი და როდესაც ქართველ გლეხს ზოგიერთს კუთხეში თითო ქცევა მიწა მოსდის, ოსობას კი ოჯახზე 30—40 საუკეთესო ღირსების მიწა უწევს და მრავალს შემთხვევაში კი 100 დესეტინაზე მეტი, უცბად „ბოლშევიკები“ შეიქმნენ?

რა უნდა შეჰმატონ მათ ბოლშევიკებმა?

რასაკვირველია, ოსები თავის განზრახვებზე არ ყვირიან და ჩვენი მთავრობა და სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეები იმდენად გულუბრყვილო პოლიტიკოსები გამოდგნენ, რომ ოსების საერთო აჯანყება „გაუგებრობად“ მიაჩნიათ. „ოსობა დარწმუნებული ყოფილა, რომ წითელი-გვარდია თავადების მოსაყიდულია და ისინიც წითელს გვარდიას ომს უცხადებენო! ერთი სოციალ-დემოკრატების შემადგენი, რომელიც ცხინვალიდან გამოქცეულა, გადაჭრით უარჰყოფს, რომ ცხინვალის ამბებს რაიმე კავშირი ჰქონდეს ოსურს ეროვნულს მოძრაობასთან. „იმდენად ძლიერია ოსებში ინტერნაციონალიზმი, რომ აჯანყებულებმა ცხინვალის დაპყრობის შემდეგ მეთაურად (შტაბის უფროსად და დიქტატორად) სოციალ-დემოკრატი (ინჟინერი რუთენ გაგლოევი) აირჩიეს. დღე მარტო ხაზებს ატარებდეს ის სოციალ-დემოკრატიას, —ეს სულ ერთია და სხვ. ეს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ამ ბრძნული სიტყვების წინ თითონვე გამოსთქვამს საშინელ გაკვირვებას სოც.-დემ. რუთენ გაგლოევის შესახებ: „ერთი რამ მაინც ვერ გამეგია—ის ჩვენთან არ ყოფილა, არ იკადრებდა არც აჯანყებულებთან ყოფნას, მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდა ის ცხინვალში სწორედ მაშინ, როცა დაბაში აჯანყებულები შემოვიდნენ?“ რასაკვირველია, გაგლოევი არ იკადრებდა აჯანყებულებთან ყოფნას, თუნდაც „მარტო სახელს ატარებდეს ის სოციალ-დემოკრატიისას“, უთუოდ ინტერნაციონალური ჰაეროპლანით ჩაფრინდებოდა ის ცხინვალში, როდესაც დაბაში აჯანყებულები შევიდნენ.

როდესაც ჩვენს ქვეყანას ისეთი გამჭრიახი პოლიტიკოსები მეთაურობენ რომელთაც მთელი დედამიწა ინტერნაციონალისტებით დასახლებულებულად ეჩვენებათ, არ არის გასაკვირველი, რომ სომხები, ოსები და ვინ გინდათ კიდევ, თავისუფლად აწარმოებენ თავის შეურიგებელ ეროვნულს პოლიტიკას და სხვის მიწა-წყალზე თავის „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოების შექმნას შეეცდებიან.

## დაშნაკცუტიუნი

დამოუკიდებელ და თვითმმართველ ამიერ-კავკასიის წინაშე კარდინალური საკითხი ისმის. დამოუკიდებელმა და თვითმმართველმა ამიერ-კავკასიამ თავის მთავარ ერების, მთავრობის და სეიმის სახით უნდა გადასწყვიტოს: ვინ არიან ის მთავარი ელემენტები, რომელზედაც უნდა დაემყაროს მისი დამოუკიდებლობა. უკანასკნელი ამბები აშკარად გვარწმუნებენ, რომ ინტერესთა სოლიდარობა სამ მთავარ ერთა შორის—საქართველოს, აძერბეიჯანსა და სომხებს შორის—არ არსებობს. ბაქოს ამბები და სომხის ხალხის როლი ამ ამბებში, აშკარად მოწმობენ, რომ სომხებს არა აქვთ საერთოდ არავითარი მტკიცე პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლათ გახდიდა ამ ერის სოლიდარობას საქართველოსთან და აძერბეიჯანთან. დაშნაკცუტუნის როლმა ბაქოს ამბებში აშკარად უნდა დაგვანახოს, რომ ამ პარტიის აზროვნებიდან სრულიად გამოდევნილია „ამიერ-კავკასია“ როგორც სახელმწიფოებრივი მცნება და მისი ადგილი მთლად და მარტო „სომხეთს“ უკავია. და პირდაპირ განსაცვიფრებელია ის ელასტიურობა, უფრო კი მაკიაველიზმი და ოპორტიუნიზმი, რომელსაც იჩენს დაშნაკცუტუნი და რომლითაც სურს მიაღწიოს მას, რასაც ის „თავისუფალ სომხეთს“ უძახის. ვითომდა ერთსულოვნური მუშაობა ამ პარტიისა სხვა ერებთან ერთად სეიმში და იმავ დროს მოწყობილად წარმოებული ჟლეტა თათრებისა, მისი მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში და იმავ დროს მისი კატეგორიული უარი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე, მისი ალიანსი მენშევიკებთან და იმავ დროს ბუნტარული და მუხანათური ბლოკი ბოლშევიკებთან ბაქოში, აი, ამ პარტიის პოლიტიკა, მისი ხვრელები, მისი გასაძრომი გამოსაძრომი ადგილები, რომელსაც იცნობენ ის სულ მუდამ და რომელსაც დაშნაკცუტუნის „რევოლუციონურ“ და „სოციალისტური“ ქარგონზე დემოკრატიული პოლიტიკა ეწოდება. თავი რომ დავანებოთ იმ საკითხს, რომ არსებითად ასეთი პოლიტიკა ღუპავს და ნაპრალზე სვამს მთელ სომხის ხალხს, მის იმედებს და მის მისწრაფებებს, თავი რომ დავანებოთ აგრეთვე იმასაც, რომ ყველა ეს ნაყოფია ცუდად გაგებულ ხალხის ინტერესებისა და უმთავრესად მაჩვენებელია იმის, თუ რა ჰქვიანი მეთაურები ჰყოლია დღეს ამ პარტიას—ჩვენ არ შეგვიძლიან გავჩუმდეთ იმ გარემოებაზე, რომ ასეთი საქციელი ერთ უძლიერეს პარტიისა კავკასიაში ღუპავს და ხიფათში აგდებს სხვა ერთა საარსებო ინტერესებსაც.

რას უნდა ნიშნავდეს ის ბლოკი დაშნაკცუტუნისა ბოლშევიკებთან, რომელიც მოჰყვა ამ უკანასკნელების გამოსვლას ბაქოში და რომელმაც აიძულა მუსულმანობა ეცნოთ ბოლშევიკური მთავრობა ბაქოში? ნუ თუ ისე დაბრმავებულია დაშნაკცუტუნი, რომ ვერ წარმოუდგენია რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ გამარჯვებას მთელ ამიერ-კავკასიისთვის? ან ნუთუ ისე წინდახედულია ის რომ მან იცის რაც მოჰყვება ამას და ყველაფერ ამას განზრახ სჩადის? შეუგნებლობა მოქმედობს აქ, თუ შეგნება, ორივე შემთხვევაში დაშნაკცუტუნი სიკვდილს ეთამაშება და ივიწყებს რა სხვის ინტერესებს, დაივიწყნია თავისი საკუთარი ხალხის ინტერესებიც. დავიჯეროთ ერთის წუთით, რომ შაუმიანმა სამუდამოთ გაიმარჯვა ბაქოში. განა აშკარა არ უნდა იყვეს ყველასათვის, რომ შაუმიანი უპირველესად თბილისისკენ გამოსწევს. ეს პირდაპირ სავალდებულოა მისთვის, რადგანაც არ არის რევოლუციონერი, უფრო შერცხვენილი და უფრო გამასხარავებული აქ, თბილისში და მთელ საქართველოში, როგორც შაუმიანი. ის უსათუოდ ეცდება აღადგინოს თავისი პრესტიჟი და ნოე ჟორდანიას მაგივრად თავისი თავი შესთავაზოს ქართველ ხალხს და ისინი, ვინც დღეს შაუმიანს შველიან, ფიქრობდენ იმაზე თუ არა, რომ ქართველი დემოკრატია ამას არ დაეთანხმება. როდესაც დაშნაკცაკანები შაუმიანისთვის იბრძვიან, მათ ავიწყდებათ არა მარტო ეს გარემოება, მათ ავიწყდებათ ის გაცილებით უფრო დიდი გარემოება, თუ რა გავლენას მოახდენს ბოლშევიკების გამარჯვება საზავო მოლაპარაკებაზე. ბოლშევიკების გამარჯვება დააჩქარებდა ზავს, რომლის შედეგი ყველაზე მძიმედ სომხის ხალხს დააწვებოდა. რათ უნდა დავმალოთ ის გარემოება, რომ მთელი სიმძიმე საზავო მოლაპარაკებისა დღეს ქართველ დემოკრატიას აწევს. ზავი და ზავი სამარცხვინო აქამდე შეკრული იქნებოდა, ქართველი დემოკრატია რომ მტკიცედ არ იდგეს თავის პოზიციებზე. და იმ წუთს, როდესაც დაშნაკცაკანები მოიხმარებდნენ ქართველ დემოკრატიის ბოლშევიკების საწოლად მიეცემს, იმ წუთს ქართველ დემოკრატიას ხელები გახსნილი ექნებოდა მოეწერა ისეთი ზავი, რომელიც შეუნარჩუნებდა რა ქართველ დემოკრატიას მის არსებულ მდგომარეობას, არაფერს დაუტოვებდა სწორედ მას, ვინც დღეს ავანტიურისტ შაუმიანთან ერთად ამ დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძვის. და ეს იქნებოდა არა შურისძიება, არამედ ბოროტი სურვილი ქართველის დემოკრატიისა, არამედ ერთად-ერთი გზა საკუთარ თავის ხსნისა.

ერთის მხრივ იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასია ხელს აწერს ზავის პირობების და მეორეს მხრივ—როცა ამიერ-კავკასია შინაურ ანარქიით არის მოცული—იშვიდობა საქართველოსი ზავი და მშვიდობაა მთელ ამიერ-კავკასიისთვის. როდესაც შედრკება საქართველოს დემოკრატია—შედრკება მთელი ამიერ-კავკასიაც და ეს იქნება დასაწყისი ჩვენი იმედების მსხვრევისა. ერები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს გვერდით და რომელთაც არ ესმით ეს მთავარი პირობა ამიერ-კავკასიის მომავლისა, დაიწყებენ საერთო ანარქიის ცეცხლში და დაიღუპებიან საერთო ჟლეტის სისხლში, ვინც ეხლა ბაქოდან ჩვენში ბოლშევიკებს ჰგზავნის, იმავ დროს ის ოსმალებს გზავნის ბათუმიდან ჩვენში. ეს უნდა იცოდეს ყველამ და ყველაზე უწინ კი სომხებმა.

შ. ამირეჯიბი.

## ბაქოს ამბების გამო

ბაქოს ბოლშევიკური ავანტიურა ყურადღების ღირსია არა მარტო იმიტომ, რომ იგი საფრთხეს უმზადებს თბილისს და საზოგადოთ ამიერ-კავკასიის მთავრობას, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ იქ თავი იჩინა კავკასიაში მობინადრე ხალხთა ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ ორიენტაციის სხვადასხვაობამ. აძერბეიჯანის სატახტო ქალაქში ამტყდარი სამოქალაქო ომი კიდევ ერთი დასაბუთებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ შეუძლებელია ხანგრძლივი არსებობა ამიერ-კავკასიის მთლიანი სახელმწიფოსი, რომ საჭიროა დაჩქარება ამ მხარის ეროვნულტერიტორიულ დანაწილებისა, შექმნა კომპაქტურ ერთეულებისა.

ყოველ ეჭვს გარეშეა მხოლოდ ერთი გარემოება: ვინც დაადასტურა ამიერ-კავკასიის მმართველობა, ვისი წარმომადგენლები, უფრო მეტი, კიდევაც შედიან სახელმწიფოს პასუხისმგებელ მმართველთა რიცხვში, ისინი ვალდებულნიც არიან დახმარება აღმოუჩინონ ამ მთავრობას მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით იმისა, რა ეტიკეტის მატარებელია მტერი. ბაქოს აჯანყება წინააღმდეგს გვიჩვენებს: თანახმად მიღებულ ცნობებისა, ამბოხებაში აქტიური მონაწილეობა მიუღია სომხობას და ისიც, როგორც ბოლშევიკებს აშკარა მოკავშირეს.

ჩვენი მეზობლების ორმაგი პოლიტიკა ცნობილი: მაგალითებისათვის შორის რომ არ წავიდეთ, მოვიგონოთ ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლა თბილისში „საგანგებო კომისსარის“ შაუმიანცის მეთაურობით; ყველას ეხსომება, როგორი დაუფარავი თანაგრძნობით შეხვდა სომხების პრესის უმრავლესობა პარონ შაუმიანცის გამოცხადებას, როგორი მქუხარე წერილები თავსდებოდა „ფაიქარში“, „აშხატავორში“ და სხვ. კომისარიატის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც შაუმიანცი კოჩუბეევის ქუჩაზე დეკრეტებს სთხზავდა. ჩვენ მაშინაც გამოვსთქვით შიში, რომ შეიძლება განმეორდეს ავანტიურისტის გამოსვლა, და ამ შემთხვევაში მის „ინტერნაციონალურ“ დრამაში ქვეშ თავს მოიყრიან სომხის უკიდურესი შოვინისტები, რომელნიც შაუმიანცთან ერთად ოცნებობენ უპირველესად ყოვლისა „მეწ ჰაისტანის“ შექმნაზე. ცხოვრების მიქოფარე ტალღებმა კიდევ ამოატივტივა „სახალხო კომისრების“ შეუპოვარი მოციქული. ორი თვის წინად სამარცხვინოდ განდევნილი თბილისიდან, მან მოქმედება ამ ჟამად გადაიტანა იქ, სადაც ნიადაგი უფრო გამზადებულია პროვოკატორების და ყიჩაღების მოქმედებისათვის.

ბოლშევიკების საქციელი ბაქოში მაინცა და მაინც არავის გააკვირვებს, რადგანაც ოქტომბრიდან დაწყებული დღევანდლამდე არ ყოფილა თვალსაჩინო რუსეთში ბოლშევიკური მოძრაობა, რომელსაც ჰქონდა არა სცხებოდეს. აქ ყურადსაღებია სომხების და კერძოდ დაშნაკცუტიუნის როლი. ამიერ-კავკასია ორ საფრთხეს შუა სდგას: სამხრეთით მას ემუქრება ოსმალეთი, ხოლო ჩრდილოეთით ბოლშევიკური რუსეთი. ორივე ერთნაირ საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის! საჭიროა ძალების დაგროვება ორივე მტრის წინააღმდეგ, უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს „ორიენტაციების“ ძიება, ვინაიდგან ამიერ-კავკასიის ხალხს იხსნის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ორიენტაცია.

ბაქოში ბოლშევიკ შავრაზმელებისათვის აშკარა მხარის დაჭერით სომხებმა ეჭვის დაუტოვებლად ცხადყვეს თვისი პოლიტიკური ზრახვანი. ჩვენ არ ვიცით, რამდენად გამოადგება სომხობას ბოლშევიკების კავშირი პოლიტიკურ იდეალის მისაღწევად, რამდენად სამშობლოს გამყიდველნი დაეხმარებიან ჩვენს მეზობელ ერს „დიდი სომხეთის“ შექმნაში, მაგრამ იმაში-კი დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტბოლშევიკურ მოძრაობისათვის ამიერიდგან ჩვენს მხარეში უკეთესი პირობები ეწყობა.

სამხრეთის შიშმა სომხებს ბაქოში საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა: ზღვიდან ნაპირზე გადმოსულთ ხომალდების დაწვა არა ჰმართებთ, რადგანაც ხშირად შესაძლებელი ხდება უკან დაბრუნება!

რ. ანგილო.

# ზავის გარშემო

### ზავი უკრაინასთან

#### პასუხი საზავო მოლაპარაკების წინადადებაზე

რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც იძულებულია საზავო ხელშეკრულობა დადოს რადას თებერვლის 21 ულტიმატუმით და ბრესტის ხელშეკრულების ძალით, საზავო მოლაპარაკების ადგილად ასახელებს ქ. სმოლენსკს. მოლაპარაკება განზრახულია დაიწყოს აპრილის 6. რაც შეეხება სამოქალაქო ომს, რომელიც თითქოს ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ხალხს შორის სწარმოებდეს, სახალხო კომისართა საბჭო გადაჭრით უარს ამბობს მიიღოს რაც უკრაინაში ხდება იმის ასეთი განმარტება. საბჭოთა მთავრობა უკრაინის წინააღმდეგ არ აწარმოებს ბრძოლას. ერთმანეთს ებრძვის უკრაინელთა ერის ორი ნაწილი. ამიტომ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმაზე, რომ რუსეთის მშრომელი მასსა უკრაინისა და მისი ერისთვის ამ ტრაგიკულ დღეებში მხურვალე თანაგრძნობას უზიარებენ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

# ომი

### ამერიკელთა ჯარი

ვაშინგტონი. რეიტერის ცნობა. ამერიკელ ჯარისკაცთაგან 47 შტატში მოკრებილია 24 ათასი ზანგი, რომლებიც საფრანგეთის ფრონტის მარჯვენა ნაწილში უნდა გაიგზავნოს.

### ინგლისელთა გემის დაღუპვა

ნოიონის რადიო სადგურიდან. გერმანელთა წყალქვეშმა კაპ. ვანნერის უფროსობით ინგლისის არხის დასავლეთ სანაპიროსთან დაღუპა მეთაურობდულ მეთევზეთა გემი, რომელიც თავდასხმისთვის იყო მოწყობილი.

### ინგლისელთა ზარალი

ინგლისელების საბლყო ფარგლებში გერმანელთა წყალქვეშებმა დაღუპეს სულ 19000 ტონნის წყალწყვის გემები.

### ინგლისელთა ჯავშნოსნის ჩაძირვა

ქრისტიანიიდან მოსულ ცნობით, ნორვეგიის სანაპიროდან 8 საზღვაო მილის მანძილზე გერმანელთა წყალქვეშებმა იერიში მიიტანეს ინგლისელების 19 სავაჭრო გემზე, რომელთაც სატარპედო გემები მიჰყვებოდა თან. დაიღუპა ინგლისელთა ერთი დამხმარე ჯავშნოსანი და ერთი გემი.

### იტალიის ფრონტზე

ვენა, აპრილის 4. გენ. ლიუდენდორფის ოფიციალური ცნობა. იტალიის მთების ფრონტზე ს როლა გაცხოველდა. ზვერვის დროს ტყვეები წამოიყვანეს.

### გერმანელების შეტევა

#### დასავლეთის ფრონტი

##### გერმანეთის ცნობა

ბერლინი, აპრილის 4. ნოიონის რადიო სადგურიდან: სომის სამხრეთით სროლა გაცხოველდა. ძლიერ საარტილერიო მზადების შემდეგ მტერი მარლის დასავლეთით სცდილობდა წინა დღით დაკარგული მაღლობები დაებრუნებინა, რაც განმეორებულ იქმნა 4-ჯერ, მაგრამ ამაოდ და მტრის სრული დამარცხებით გათავდა. ვერდენთან და პაროის ტყეში საარტილერიო სროლა რამდენჯერმე გაძლიერდა. სხვა ფრონტებზე არსებითი არაფერია.

##### გერმანელთა რადიოს ცნობა

გერმანელთა რადიო იტყობინება: ჩვენ ზარბაზნებს ვუშენთ პარიჟს.

### შეტევის შეჩერება

„ტრანს ოკეანის სააგენტო“-ს კორესპონდენტი დასავლეთის ფრონტიდან იწერება: უკანასკნელ დღეებში გერმანელთა შეტევა შეჩერდა. ინგლისელებს და ფრანგებს გაუთავებელ კონტრ-იერიშების გამო ძალა სრულებით გამოეფიტათ და მათი ზარალი ზღვაპრული გაიზარდა. გერმანელები პირიქით, ადგილობრივ პირობების მიხედვით მდ. ანკრის დასავლეთის ნაპირზე მნიშვნელოვან მაღლობებზე გამაგრდნენ. დასავლეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ბუნებრივია უკანასკნელ კვირის მძიმე ბრძოლების შემდეგ. იგი საჭიროა გადამწყვეტ ხასიათის ბრძოლისათვის მოსამზადებლად. სავსებით შეეფერება გერმანელთა მთავარ სარდლობის ტაქტიკას. ასეთი შესვენება მოხდა აგრეთვე იტალიის ფრონტზე გერმანელების მიერ ტალიამენტოს ხაზის დაპყრობის შემდეგ.

რუაზზე გერმანელებს საერთო იერიში მიაქვთ, რასაც ფრანგთა 2 ბატალიონი ეწინააღმდეგება.

### ოსმალთა შემოტევა

#### მარტის 22-ის ცნობა.

ზღვის პირის მიმართულებით სროლაა. სარაყამიშის მიმართულებით ოსმალებმა მარტის 20-ს შემოტევა დაიწყეს და ჩვენი მოწინავე ნაწილები სოფელ გერაშკანიდან, ზაკიშიდან, ქუმბეტიდან და ყაზილ-ყილისიდან (ბარდუსის რაიონში) გამოდევნეს. მარტის 21 ოსმალები შემოტევას განაგრძობენ.

შატილოვი.

#### მარტის 23 ს ცნობა. (12 საათი).

ზღვის პირის მიმართულებით აჭარის წყლის რაზმში ქართულ პოლკის მსროლელებმა 290 სიმაღლიდან ჩეტნიკები განდევნეს და სიმაღლე დაიჭირეს. ხელთ იგდეს იარაღი, პატრონები და ხელით სასროლი ყუმბარები. ჩაქვის რაზმის ფრონტზე აჭარლებმა შემოტევა სცადეს, მაგრამ ამაოდ, ჩვენ ცეცხლს ვერ წამოუდგნენ. დანარჩენ ფრონტის მდგომარეობის შესახებ ცნობები არ მოსულა.

შატილოვი.

#### მარტის 23 ცნობა.

ნაშუადღევის 3 საათი. ზღვის სანაპიროებზე, ოსმალთა ძალებმა შემოგვიტიეს მაკრიალში. მაკრიალის რაზმმა ჰოროსკენ დაიხია. აჭარის წყლის მიმართულებით ქედდა-ხერთვისთან ჩვენი ნაწილები აჭარის წყლისკენ წამოვიდნენ. ამ რაიონში აჭარლებს უნდოდათ ბორის გადაყვანა ჰოროის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ პრაპ. ჟორჟენაძის იერიშით უკან დაიხიეს სარიყამიშის მიმართულებით, 22 მარტს ჩვენმა ნაწილებმა დაიხიეს სარიყამიშისკენ ხოლო 23 მარტს, განთიადისას დაიხიეს ნოვო-სელიმისკენ.

#### ხადამოს ცნობა.

თბილისში მოსულ უკანასკნელ ცნობებით ოსმალებს სარიყამიში აუღიათ.

# რუსეთი

## ლენინის განცხადება

ლენინს რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებიდან მოსდის დეპეშები, რომლითაც სთხოვენ რევოლუციონურ ომის გაგრძელებას. ლენინმა ამაზედ განაცხადა: ჩვენ რომ გვქონდეს იმდენი შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარისკაცი, რამდენიც დეპეშები მოუვლის ომის სასარგებლოდ, ჩვენ შევძლო მთელი ქვეყნის იმპერიალისტებთან ბრძოლა.

## გერმანელთა ბატონობა

მინსკის ფოსტა, რკინის გზა გერმანელებს ემსახურება. ბელორუსეთის რადა განდევნილია იარაღის ხმარებით. გლეხებს სურსათს ართმევენ და ფულის ნაცვლად გერმანულ ბარათებს აძლევენ. ჩამორთმეულ სურსათს იგინი გერმანეთში გზავნიან. „პრავდაში“ ნათქვამია: ზავის დადების შემდეგ წითელი პარტიზანული რაზმი ვლდარ მოქმედებს ძველებურად. დვინსკამდე რუსულ მანეთიანის კურსად ერთი მარკა დააწესეს. დვინსკიდან ნახევარი მარკა. გერმანელები, მათივე თქმით დიდად დაუზარალებია პიროქსილინის აფეთქება.

## ბოლშევიკები ეკლესიაში

ნოვო-ნიკოლაევის ბოლშევიკებმა თავისებურად გაიგეს ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ისინი შევიდნენ მღვდელმსახურების დროს ეკლესიაში და აღუკრძალეს წირვა-ლოცვა, იმუქრებოდნენ ეკლესიის დაწვით და სხ. მათ განაცხადეს, რომ ეკლესია—დრომოჭმული დაწესებულებაა. მლოცველებმა განდევნეს იგინი ტაძრიდან და უწყალო ცემით გაუშასპინძლდნენ. სხვა ეკლესიებშიით ეს გამეორდა. ერთ ეკლესიაში, ხალხმა ორი ბოლშევიკი მოჰკლა.

## რადიო-ბიულეტენი

**მარტის 24**

**ხოამბოლდი.** ოსმანიეს რადიო-სადგურიდან. ოსმალეთის სამხედრო ცნობა. **პალესტინის ფრონტი.** მდ. იორდანის ფრონტზე ცხოველი საარტილერიო და საჰაერო ბრძოლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ფართე ფრონტზე ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ავიღეთ ქ. ერგისი, ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე. სარიყამიშის დასავლეთით მდებარე მაგარი პოზიციები ბრძოლით ავიღეთ. ხელთ ვიგდეთ 34 ზარბაზანი და დიდი ძალი ქონება. შავი ზღვის ნაპირზე წინანდელი საზღვარი გადავლახეთ და ბათომისკენ წინ მივიწევთ. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია.

**კავკასიის ფრონტზე.**

**ხელმიში.** მარტის 23. კორიენევსკი. მივაღწიე, მე-315 ვერსტამდე, სადაც ხიდი აფეთქებულია. შარა გზით ჩვენი ჯარი უკან იხევს. შევხვდი სარიყამიშის სადგურის რაზმის პრაპორშჩიკს კეროიანცს, რომელმაც მაცნობა, რომ სარიყამიში უბრძოლველად დაუთმეს ოსმალებს. დაჭრილები არ არიან. სარიყამიშში, მარტის 23, საათის 13-დან ოსმალებმა შემოსვლა იწყეს.

**ბერლინი.** აპრილის 5. ნაუენის რადიო-სადგურიდან. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. მდ. სომმის აღმოსავლეთით და მორელის ორივე მხარეს ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის ძლიერ პოზიციებზე, საიდანაც იგი გავდევნეთ, მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ენერგიული სროლა აუტეხა, რამაც მტერი აიძულა უკან დაეხია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ხამელ, სომმას და ლუსის შუა, აგრეთვე რამდენიმე პუნქტი ვილლერს-ბრეტონეს სამხრეთ და ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. მტერი ყველგან დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა. მისი ზარალი ამის გამო უზომოა. ტყვედ რამდენიმე ათასი კაცი წამოვიყვანეთ. გამოირკვა, რომ გენ. კუტორის ლაშქარს მარტი 2—23-ამდე ტყვედ წამოუყვანია 51218 კაცი და ხელთ უგდია 720 ზარბაზანი. მარტის 21-დან ტყვედ წამოგვიყვანია 90000 კაცზე მეტი, ხოლო ხელთ გვიგდია 1300-ზე მეტი ზარბაზანი. რამდენიმე დღის წინად ფრანგების მიერ ლიონის ზარბაზნებით დაზიანების საპასუხოდ ჩვენ ქ. რეიმსს დაუშინეთ. შამპანში და მდ. მაასის აღმოსავლეთის ნაპირზე მარჯვედ თავს ვესხმით მტერს და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ვერდენთან საარტილერიო ბრძოლა მეტად გაძლიერდა.

**ნაუენის რადიო სადგური.** მარტის 24. სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ შვედური გაზეთები კამათობენ ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ და სწერენ: იმ საქონლისაგან, რომელიც შვეციას ინგლისისაგან უნდა მიეღო დღემდე არ მოსულა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** უკრაინაში პოლტავა-კონსტანტინოგრადის რკინის გზის ხაზზე მტრის ბრბოებს ჩვენ წავართვით 28 ზარბაზანი, იარაღი და ქონებით დატვირთული ვაგონები. დნეპრის ტრამაში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და უკვე ავიღეთ ქ. ეკატერინოსლავი.

**აზიის ფრონტი.** გერმანეთის და ოსმალეთის ჯარმა მკაცრი ბრძოლის შემდეგ რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ინგლისელებს მდ. იორდანისაკენვე დაახევინეს უკან. ინგლისელებს იორდანის გადმოლახვის შემდეგ სურდათ თურმე ელსაკით წინ სვლის გაგრძელება.

**თეირანი.** ინგლისელების მიერ სპარსეთის ნავთ სადგურების ადმინისტრატიულ პირების დატუსაღების საპასუხოდ დააპატიმრეს ინგლისის კონსული.

## ქრონიკა

### თბილისი.

**ბაქოს ამბების გარშემო.** სეიმის წევრს ერზინკიანს ბაქოდან პირდაპირი მავთულით ატყობინებენ, რომ არეულობის დროს იქ მოუკლავთ სოციალისტ-რევოლუციონერთა ლიდერი ლეონ ათაბეგოვი.

**ფულის გადადება საზავო დელეგაციისთვის.** მარტის 22-ის სხდომაზე ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა—ოსმალეთთან ზავზე მოსალაპარაკებლად გაგზავნილ დელეგაციისთვის გადასდოს დამატებით 700 მანეთი.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგებად** დაამტკიცეს ჯამალ-ბეგოვი და პ. გელეიშვილი.

**სომეხ-თათართა განწყობილება.** ამიერ-კავკასიის მთავრობის სხდომაზე მიწადმოქმედების მინისტრმა მოხსენება გააკეთა ქალაქის მე 5 უბნის მცხოვრებთა განცხადების შესახებ ამ უბანში სომეხ და მაჰმადიან მცხოვრებთა შორის ურთიერთობის გამწვავებაზე. მე-5 უბანში უკვე სახრიან სანგრებს, რომლებსაც ეროვნულ ნაწილების ჯარისკაცნი იპყრობენ. ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა, სამხედრო მინისტრს ებრძანოს ყოველივე განკარგულება გასცეს ზემოხსენებულ ნიადაგზე დაბადებულ საშიშო მდგომარეობის მოსასპობად.

**გადმოხვეწილები.** რადგანაც ამ ბოლო დროს თბილისს აურაცხელი გადმოხვეწილნი მოაწყდნენ, ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა, შესდგეს ეროვნებათაშორისო საგანგებო საბჭო ქალაქის თავის ან ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალება გადმოხვეწილებზე ზრუნვა და მათი ქალაქში დარჩენის საკითხის გადაწყვეტა. ხსენებულ საბჭოში შევლენ ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლნი.

**კვირას, მარტის 25-ს, 4 საათზე** დანიშნულია კრება გამოცდილ ქართველ დებისა და ფერშალ ქალებისა. გაბაშვილის ქუჩა № 3.

**ჩვენმა კორესპ. ა. კობახიძემ** გადმოგვცა, რომ ხევის და მთიულეთის დელეგატებს ეროვნულმა საბჭომ აღუთქვა კავკავში თავის წარმომადგენლების გაგზავნა. დელეგაცია გამგზავრება კავკავში ქისტების, ჩაჩნების, ოსების და ყაზახების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად, რათა ხევ-მთიულეთის ცხვარი მშვიდობით ჩამოატარონ. დელეგაციაში შედიან: შ. ქარუმიძე, ი. ამირაჯიბი, რ. ყაზბეგი და სხ.

**აფერისტების დაჭერა.** მარტის 18—20 თბილისის მილიციის მე-9 კომისარიატის უფროსმა მილიციელებმა ძამოევმა და გოზალოვმა აღმოაჩინეს აფერისტების ორგანიზაცია. ამ ჯგუფს უკვე დაპატიმრებულია სერგო მინასიანცი, არკადი გომელაური, ნიკოლოზ ქურდევანიძე, ფილიპე ლეონოვი, არმენაკ ხაჩატურიანცი და გიმნაზიელი არტაშეს პეტროსიანცი. ხსენებულ პირებს ყალბი ბარათებით ჩაი და შაქარი გამოჰქონდათ სასურსათო მაღაზიებიდან. უკანასკნელ ხანებში მათ რამდენიმე ასი ფუთი შაქარი და ჩაი გაუტანიათ. მინასიანცის ბინაზე აღმოაჩინეს ყალბი ბეჭდები და მოთხოვნილების ბლანკები.

**მუსიკის თეორიის და სოლფეჯიოს კურსები.** სამედრო კავშირთან დაარსებულ მუსიკის თეორიისა და სოლფეჯიოს კურსების გამგე ილ. აბაშიძე სთხოვს ქართულ-ეროვნულ გუნდის წევრებს და თავისუფალ მსმენელთ, მობრძანდნენ საშაბათს, 28 მარტს, 5 ს., ქართულ კლუბში ლექციების დაწყებაზე.

**ლეჩხუმის მაზრის სახალხო მასწავლებლების** საერთო კრებამ ახვლედიანის თავმჯდომარეობით დაადგინა, აძრას შუამდგომლობა, რათა მოხსნან ქუთაისის გუბერნიის კომისარის განკარგულება სვანეთის კანონის გარეშე გამოცხადების შესახებ.

**შაბათს, 31 მარტს,** ქართულ კლუბის დარბაზში, ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მედეა“. მედეას როლს შეასრულებს ეფ. მესხი. დანარჩენი როლები საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

**განათლების სექციის შუამდგომლობა.** ამიერ-კავკასიის მთავრობის წინაშე საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ სახალხო განათლების სექციამ შუამდგომლობა აღძრა 30 ათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინოს თბილისის გუბერნიაში წინამძღვარიანთ კარის ერთად ერთ სამეურნეო სასწავლებლის შესანახად.

**სამღვდელოების კრედიტის გახსნა.** საქათალიკოსო საბჭოს ოფიციალი განცხადება მიიღო ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან სამღვდელოების ჯამაგირების კრედიტის გახსნის შესახებ. განცხადებაში მოხსენებულია რომ თბილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატებს უკვე დაევალათ მიწერილობა კრედიტების გახსნის შესახებ: ქუთაისისას კრედიტი გაეხსნა 495,371 მან და 22 კაპ., ხოლო თბილისისას 358,252 მან. და 82 კ. სულ ორთავე ხაზინაში ქართველ სამღვდელოების კრედიტი უდრის 853,624 მანეთსა და 4 კაპ.

**დიდი ცეცხლი.** მარტის 22-ს, ღამის სამ საათზე სერგიევის და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში, ოტტენის აფთიაქის გვერდზე, არზუმანოვის სახლში გაჩნდა ცეცხლი. საყურადღებოა, რომ ცეცხლი სახლის სხვა და სხვა ნაწილებში გაჩნდა. დაზარალდა კავკასიის მამამარებელთა საზოგადოება, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების კოოპერატივი, დამხმარე საზოგადოების, „სალაპანდრას“, გაზ. „ორიზონის“ და სხვა კერძო ბინები. ცეცხლის მქრობელთა რაზმი მაშინვე მივიდა. ორი მქრობელი დაზიანდა. ცეცხლის მქრობელთა რაზმი ძალიან სუსტი გამოდგა, რის გამოც მონაწილეობას იღებდნენ მოქალაქენი. ცეცხლი მთელი დღე გრძელდებოდა.

**ეროვნული ჰიმნი.** კვირას 18 მარტს ჟიურიმ გაარჩია ეროვნულ ჰიმნისათვის წარმოდგენილი ლექსების ტექსტები და არც ერთი ლექსი არ სცნო შესაფერისად.

**ხ. ქვალონი.** აქ დაარსდა უფასო წიგნთ-საცავი ეგ. ნინოშვილის სახელზე. შემოწირულება გაიგზავნება ქვალონის მასწ. პლ. დანელიას მისამართით.

## პარტიული ცხოვრება

**საქარ. ეროვ.-დემოკრ. პარტიის** თბილისის კომიტეტი, იწვევს კვირას, მარტის 25-ს, შუადღის 12 ს. ახალ კლუბის დარბაზში, თბილელ პარტიის წევრების საზოგადო კრებას. განსახილველია: ა) საორგანიზაციო საკითხები, ბ) კოოპერატივის მოწყობის საკითხი, გ) სარევიზიო კომისიის არჩევა და დ) მორიგი საქმეები.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის** ქ. თბილისის კომიტეტი იწვევს კვირას, მარტის 25 ს, დილის 11 საათზე ახალ კლუბის დარბაზში. ქ. თბილისის მესამე და მეოთხე უბნებში შესდგება მეცხრე პარტიის წევრების საზოგადო კრება საუბნო კომიტეტის ასარჩევად. კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა.

## ცხინვალის ამბები

**მარტის 24 ცნობა.**

გორიდან მარტის 24, დილის 10 ს. თბილისის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს შეატყობინეს: მარტის 23, საღამოს 6 საათზე ცხინვალის ახლო სოფ. თამარაშენში ჩვენ მოგვიკლეს 5 ამხანაგი, დაგვიჭრეს 3. არბოელები მთებისკენ იხევენ უკან. მათ სდევნიან პოლკოვნიკი კონიაშვილი და ჯუღელი. მეამბოხეთ ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს. ტყვეებს ვანთავისუფლებთ. ტყვეების ერთი ნაწილი მეამბოხეებს თან მიჰყავთ. 6 ს. მოასვენეს მოკლული მაჩაბელი, კეცხოველი და სხვები. მკვდრები დასახიჩრებულია, ზოგის ცნობაც კი შეუძლებელია. დაკრძალვა ხუთშაბათს მოხდება 8 საათზე. დღეს დავათვალიერე ციხე. დილის 9 ს. 30 წ. მივიდა ჰაეროპლანი.

## კონიაშვილის დეპეშა.

**გორი.** მარტის 23. ამიერ-კავკასიის მთავრობას. გუშინ მე შევუერთდი ჯუღელის ჯარს. ცხინვალი და მისი მიდამოები ჩვენ დავიპყარით. შემდეგ რაც მოხდება გაცნობებთ.

## ანარქია ამიერკავკასიაში

### ბაქოში

(პირდაპირი მავთულით ბაქო. 22 მარტი დილის 11 ს.)

ბოლშევიკებმა იარაღი დააყრევინეს სარკინიგზო მილიციას. დამწვარია მთელი ბაზარი. ნიკოლოზის ქუჩა ნანგრევებს წარმოადგენს. დაიწვა „ისმაილიე“-ს დიდი სახლი, „კასპის“ რედაქცია და სხ. ბრძოლა გუშინ შესწყდა. ქალაქს ამშვიდებენ. მეამბოხეთ ჰპყრობენ. დიდად დაზარალდა სურახანის, ჩადროვის, ბონდარსკის და სხ. ქუჩები. ბოლშევიკებთან ერთად ჰმოქმედობდნენ სხვა ძალებიც, როგორც ჯარისკაცები და სხ. მრეწველობის საქმე არ დაზიანებულა.

## მუღანლოს მდგომარეობა.

**აჯიკაბული.** ლტოლვილთა ორგანიზაციის თავმჯდომარე პივარი იტყობინებს ამიერ-კავკასიის მთავრობას: მუღანლოში 10000 მეტი ლტოლვილია ქონებით და საქონლით. სადგ. აჯიკაბულში 12 დღეა რაც მოტარებელს ელიან. ვაგონები არ არის. გთხოვთ აჯიკაბულში 300 ვაგონი გამოგზავნოთ. სურსათი არ არის. გადმოხვეწილებს შიმშილი ელით. ყაჩაღობისა და თავდასხმის გამო მუდმი-[illegible]

## საუკეთესო მამულიშვილის აღზრდა იაპონიაში

(ცუძიგზნო ქართველ მხედრობას)

იაპონელების ცხოვრებისა და ხასიათის ზედმიწევნით მცოდნე ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი ერვინ ბიალცი ამბობს რომ: „იაპონელთა პატრიოტიზმში შეერთებულია პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, სოციალური და პიროვნული ფაქტორები, რითაც იაპონელები განირჩევიან სხვა ერებისაგან“. ამისათვის არის, რომ იაპონელებს ისე უყვართ თავისი სამშობლო, რომ სხვა ერები განცვიფრებაში მოდიან. „უნდა გიყვარდეს სამშობლო“—ეს იაპონელებისათვის აქსიომა არის და ზოგიერთ ერებისათვის კი თეორემა.

მამულის უსაზღვრო სიყვარული იყო მიზეზი იმისა, რომ იაპონელებმა 1905 წელს, რუსებთან ომის დროს, გამოიჩინეს ისეთი სამხედრო თვისებები, რომლითაც მათ განცვიფრებაში მოიყვანეს მთელი ქვეყნიერობა. ამისათვის მეტად საჭიროა არის გავეცნოთ, თუ როგორ ზრდიან იაპონელები საუკეთესო მამულიშვილებს.

იაპონელების უმრავლესობა ბუდდის სარწმუნოებისა მიმდევარია. ეს სარწმუნოება იაპონელებს პატარაობიდან უნერგავს გულში ადამიანის სიცოცხლისადმი ზიზღს, ასწავლის მას, რომ ყოველი ადამიანი მუდამ მზად უნდა იყვეს შესწიროს თავი თავის სამშობლოს.

მეორე მხრით ეს სარწმუნოება იძლევა მაღალ ეტიკურ წესებს კეთილშობილ პიროვნების აღსაზრდელად: სიმართლეს, თავდაჭერილობას ლაპარაკში და მოქმედებაში, პატიოსნებას და სხვ. ამნაირად სარწმუნოებრივი ძირეულ დებულებანი პატარაობითვე უნერგავენ ყველა იაპონელებს იმ რწმენას, რომ სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავის განწირვა—უფრო მაღლა სდგას ვინემ პირადი ინტერესები.

ამისათვის არის, რომ სამშობლოს სიყვარული იაპონელებისათვის არის რაღაც უმაღლესი ძალა, რომლის გულისათვის, ანუ რომლის გავლენით იაპონელი ძალიან ადვილად ანაცვალებს თავის თავს სამშობლოს.

იაპონელი, როდესაც თავსა სწირავს სამშობლოს ამით ის ზიზღს უცხადებს სიცოცხლეს და დარწმუნებულია მასში, რომ სამშობლოს დაცვა, მისი სამსახური უფრო მაღლა სდგას ვინემ პირადი სიცოცხლე. იაპონელები ამბობენ: „ადამიანის სიცოცხლეს აქვს ფასი და აზრი სამშობლოში და მარტო სამშობლოსათვის“.

ასეთი დებულებების მიხედვით იაპონელები ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლიან და აგონებენ:

1) როგორც მოქალაქე—ის უნდა იყოს სამართლიანი, წყნარი, თავდაჭერილი, მშვიდი, მამაცი, არასოდეს არ უნდა დაჰკარგოს პირადი და ეროვნული ღირსება და მუდამ ახსოვდეთ თავის სამშობლო.

2) როგორც მხედარს—წავა თუ არა ომში, იმ დღითვე უნდა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი, როგორც ოჯახთან, აგრეთვე ყველა ნათესავთანა და მეგობრებთან და დაივიწყოს ყოველივე კერძო ინტერესები, გარდა სამხედროსი.—აფიცერმა ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის ემსახურება უმაღლეს სამშობლოს მისიას და არასოდეს ფიქრადაც კი არ უნდა გაივლოს, რომ ოდესმე თავი მოიწონოს თავისი მდგომარეობით.

იაპონელების ჩვეულებით, მეომარი ომში წასვლის წინ უკანასკნელად სახლში შესვამს ფინჯან წყალს—ეს ნიშნავს: ოჯახთან სამუდამოდ გამოთხოვებას; ამ წუთიდან ის თავისუფალია ყველაფრისაგან, რაც მას ცხოვრებასთან აკავშირებდა, სიცოცხლესთან სწყვეტს ყოველივე ანგარიშს და თავისუფლდება თავმოყვარეობისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ის ამ დღიდან ეკუთვნის საკუთრივ სამშობლოს.

მათ წესდებას ერთ მუხლში სწერია: „ის ვინც ომში მიდის, იმ აზრით, რომ მოჰკვდეს სამშობლოსათვის, არის საუკეთესო მამულიშვილი“.

მეორე მუხლში სწერია: „იმ წუთიდან, როდესაც თქვენ ბრძოლას იწყებთ, თქვენთვის აღარ არსებობს ქვეყანაზე არაფერი. გარდა იმ კაცისა, რომელიც თქვენ პირდაპირ სდგას, და რომელიც თქვენ გინდათ მოჰკლათ და კიდეც უნდა მოჰკლათ“.

ასეთ პრინციპებზე აღზრდილი იაპონელები მეტად საშიში მხედრები ხდებიან, მათი სიმამაცე და სიმამაცე თითქმის ერთი ორად იზრდება—ბრძოლის დროს მათთვის არ არსებობს უკან დახევა, არამედ მხოლოდ წინ, წინ. ის მხოლოდ მოცულია იმ აზრით რომ უნდა მიაღწიოს იმ მიზანს, რომელიც მან დაისახა, თუნდ ამისათვის სიცოცხლეც კი შესწიროს.

ეს აზრი მშვენივრად იყო გატარებული კაპიტან იაშიროს ბრძანებაში, როდესაც ის კრეისერს „ასამას“ აგზავნიდა პორტარტურში: „მოხალისენო! ჩვენ ჩავკეტეთ ნავთსადგური პორტ-არტურისა“.

ამ ბრძანების შემდეგ მან მოუყარა თავი მოხალისეთ, დაალევინა წყალი ვერცხლის სასმელით და უთხრა: მე თქვენ გგზავნით სასიკვდილოთ, და ვიცი, რომ თქვენ მზათა ხართ ამისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ აღასრულებთ თქვენს მოვალეობას და არ იზრუნებთ საკუთარ თავზე“.

რადგანაც ასეთი დიდი მოვალეობა ეწევა იაპონელთა სამხედრო პირებს, ამისთვის არის, რომ მათი აფიცრობა აღჭურვილია დიდი პატიოსნებით, მათ უარი აქვთ ნათქვამი პირად ცხოვრებაზე და თავიანთი თავი მსხვერპლად აქვთ შეწირული სამშობლოსთვის; ისინი თითქმის ყველა ღარიბები არიან და არა აქვთ არავითარი სოციალური უპირატესობა, საზოგადოებაში არ სარგებლობენ რაიმე უპირატესობით, სამაგიეროთ სალდათებთან არიან ძლიერ დაკავშირებულნი და მათთან ერთად იყოფენ ყოველივე კარგს თუ ავს. მათი მუშაობა საათობით არ აღინიშნება, ისინი სულ მუშაობენ, სცდილობენ, რომ კარგად შეისწავლონ სამხედრო ხელოვნება, ღარიბნი არიან მატერიალურად, მაგრამ მდიდარი ცოდნით და ამაყნი მით, რომ გაჭირვების დროს სამშობლოს წინაშე წასდგება მომზადებული და მზათ არის მას ყოველ წუთში სიცოცხლე ანაცვალოს.

1905 იაპონიაში გაჩნდა ერთი ჯგუფი ახალგაზრდა აფიცრებისა, რომლებმაც განიზრახეს კობტა ჩაცმა-დახურვა და ზოგიერთი უპირატესობის მინიჭება. გენერალმა ნოგიმ, გაიგო რა ეს ამბავი მაშინვე მიიღო ზომები და მოსპო ეს აფიცერთა ჯგუფი. „აფიცრის ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულებები, სასმელ-საჭმელი, გასართობები და სხვა და სხვა, უნდა ეთანხმებოდეს ჯარის კაცთა ყოფა-ცხოვრებას, ვინაიდგან ის ჯარის კაცებთან ატარებს მომეტებულ დროს. აფიცრებმა უნდა იცოდენ, რომ ისინი არიან ჯარის კაცები აფიცერთა ტანისამოსში გამოწყობილნი და არა სხვა ვინმე პირები, განცალკევებული ფუფუნებით შემოსილნი“.

სული და ხორცი იაპონელი აფიცრისა და ჯარის კაცისა ეკუთვნის ომს და ამაზე არის დამოკიდებული ომის მოგებაც.—ასე მოუწოდებენ სამხედრო პირთ იაპონელი გამოჩენილნი მამულიშვილნი.

რუს-იაპონიის ომის დროს, იაპონელი ქალები საჩუქრად აძლევდნენ ჯარის კაცებს აბრეშუმის ქაღალდის ღია ბარათებს ზედ წარწერით: „როდესაც თქვენ მიიღებთ ამ წერილს, მიწისაგან უკვე დაფარული იქნება გმირის გვამი, რომელიც დაიღუპა ბრძოლის ველზე სამშობლოს გულისათვის. ნუ იტირებთ მას, მოიგონეთ ჩქარ-ჩქარა მისი სახელი სხვების—სამაგალითოდ“. ქვეით ბარათზე დატოვებული იყო ადგილი ხელის მოსაწერი. თუ ვინიცობაა ამ ბარათის პატრონი მოკლული იქნებოდა, ბარათს პოლკის სამგლოვიარო ბეჭედს დაასვამდენ და ისე გაგზავნიდნენ ადრევე დატოვებული მისამართით, გამოდიოდა თითქოს ბარათი მოკლულის პატრონებს საიქიოდან მოსდიოდათ.

ერთი სიტყვით ძირითადი დებულებანი იაპონელთა აღმზრდელი წესდებისა—სარწმუნოებრივი შეხედულობა ეთანხმება პოლიტიკურ იდეალებს. გარდა ამისა მთელი ერი სავალდებულო სწავლის კანონების ძალით ვალდებულნი არიან სახალხო სკოლებში შეისწავლონ და გაეცნონ ეგრედ წოდებულ „სიუსინ“-ს, ეს იგივეა რაც სწავლა არის, როგორც ჩვენებურ სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება. „სიუსინ“-ს ასწავლიან ერთნაირ ქრისტომატიით, რომელიც ყოველ წელს 3,000,000 იბეჭდება და სავალდებულოა როგორც უბრალო გლეხის ოჯახისათვის, აგრეთვე მეფის კარისათვის.

ყველა ის პრინციპები, პარტიულია ის თუ ზნეობრივი, რომლებიც საფუძვლად უდევს სავალდებულო აღზრდითი კანონებს—შეადგენს ხალხურ სარწმუნოებას, ხოლოდ ამ სარწმუნოებას არაფერი საერთო არ აქვს ღვთიებრივ სარწმუნოებასთან. ეს სარწმუნოება ასწავლის და ზრდის პატარაობიდანვე თუ როგორ უნდა იცხოვროს სამშობლოს საკეთილდღეოდ და როგორ უნდა შესწიროს მას თავი.

თვითეულ ბავშვს (3—5 წლისას) აქვს დედოფალა, რომელიც გამოხატულია რომელიმე გმირისა. ბავშვმა კარგად იცის ამ გმირის ისტორია და აგრეთვე ისტორია იმ დედოფალებისა, რომლებიცა აქვთ მის ამხანაგ ბავშვებს.

თვითეული დედა ვალდებულია თავის პატარას შეასწავლოს რამდენიმე ზღაპარი და გმირთა ისტორია.

მდიდარ ოჯახებში ბავშვების გამზრდელს მხოლოდ მაშინ იყვანენ, როდესაც მას ერთგვარ გამოცდას გაუკეთებენ ისტორიულ მოთხრობებში.

„ჩვენი ქვეყნის ისტორია უნდა იყვეს ჩვენი საღმრთო ისტორია და ჩვენი ზნეობრივი კოდექსი. ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ერთი საღვთო წიგნი —„ეს არის ჩვენი ისტორია“,—წერდა, საუკეთესო, სპეტაკი და ნიმუში ყოველგვარ პატიოსნებისა“.

„ჩვენ თუ გვინდა ვიყოთ კარგი იაპონელები უნდა დავიცვათ ჩვენი დიდი იაპონია“.

„ჩვენ უნდა აღვასრულოთ შვილების მოვალეობა მშობლების წინაშე, გვიყვარდეს ნათესავები, ძმები და დები მის მსახურების იოწყალე“.

„ჩვენ უნდა ვიყვეთ კარგი იაპონელები, გვიყვარდეს მეფის სახლი და ჩვენი დიდი სამშობლო“.

„გამოვიჩინოთ მეტის-მეტი მეჯითობა სწავლაში, განვავითაროთ ჩვენი თავი, დავივიწყოთ ცრუ მორწმუნობა, ვივარჯიშოთ და ფიზიკურად განვავითაროთ სხეული.“

„აგრეთვე ჩვენ უნდა ვიყვნეთ პატიოსანი, აღვასრულოთ ყოველივე ჩვენი დაპირება, ცუდად არ დავკარგოთ დრო, ვიყვნეთ მეჯითნი, ყოველთვის უნდა ვიყვნეთ ამხანაგებზე დინდობილი, არ ვიყვეთ ამაყნი, ვაპატიოთ ყველას შეცდომები, თავს გაუფთხილდეთ რათა ჩვენ შეცდომები არ დაუშვათ, პატივით მოვეპყრათ ყველა ადამიანს, ხალხთან საუბრის დროს ვიყვეთ თავდაჭერილნი და პატიოსანი“.

იაპონელთათვის მათი ჯარი უსაყვარლესი რამ არის. ჯარში ისინი აძლევენ საუკეთესო შვილებს, რომლებიც პატარაობიდანვე ეყვარებენ სიტყვას „ხეისოტუ“ ე. ი. სალდათს და არწმუნებენ მათ, **რომ სამშობლოს ხაძლიერე—ჯარია.**

ახლად გაწვეულ ჯარისკაცს ყაზარმაში შესვლისთანავე ასწავლიან და უხსნიან, რომ იაპონიის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და ჯარი საუკეთესოა დედა-მიწაზე.

დიდი ყურადღება აქვს იაპონიაში მიქცეული ფიზიკურ ვარჯიშობას.

ექიმ ნიკამურას გამოკვლევით, იაპონელები იმდენად ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ ვარჯიშობას, რომ თითქოს ამის გამო იაპონელები ტანით კიდევაც იზრდებიან, ისეთი პატარები აღარ არიან, როგორც წინედ იყვნენო.

ზოგიერთი მშობლები ასე ალოცვებენ თავიანთ ბავშვებს დაწოლის დროს: **„მიყვარს სამშობლო, მოვკვდები მისთვის, უმისოდ მე არ ვიცოცხლებ“**

ავ. აბესაძე.

ლი სრულიად მიტოვებულია. საქონელი სწყდება. გთხოვთ ნება მოგვცეთ სად. აჯიკაბულზე მყოფი სურსათი დავურიგოთ, გადამსახლებელი ადმინისტრაცია არ არის.

აჯიკაბული. ჯავშნიან მატარებლის უფროსი ალფ. გოგუაძე—ამიერკავკასიის მთავრობას. თქვენი განკარგულების აღსასრულებლად შუა დღის 2 ს. აჯიკაბულიდან ბალაჯარისკენ გავედი. ჩვენ მივაღწიეთ სად. დუვანნაიას, სადაც შევხვდა რკინის გზის გამოქცეული მოსამსახურენი თავის ოჯახებით. გამოქცეულთაგან შევკრიბე პარტიების წარმომადგენელნი და მოსამსახურეებს წინადადება მივეცი დარჩენილიყვნენ თავ თავის ადგილებზე. სეიმის დელეგაციის თავმჯდომარის ჰაიდაროვის წინადადებით მე სადგ. დუვანნიდან აჯიკაბულში გავედი წესრიგების აღსადგენად. როგორც სჩანს ჰაიდაროვისთვის ყალბი ცნობები მიუწვდიათ, სადგ. აჯიკაბული. რადგანაც სადგ. აჯიკაბულში სრული სიწყნარე იყო, ეხლა მატარებლის წინ, რომელშიაც სეიმის სამშვიდობო დელეგაცია იმყოფება, მე მივდივარ. ყიზატაი და ბალაჯარს შუა ორი ოქლმავალი ლიანდაგიდან გადავარდა. მიღებულია ზომები.

## ქუთაისის პომპადურის განმარტება

ქუთაისის გუბერნიის კომისარმა კაჩუხაშვილმა განმარტება მისცა მუშათა საბჭოს თავის მოქმედების შესახებ ლეჩხუმის მაზრის მიმართ. კაჩუხაშვილი სხვათა შორის ამბობს:

„მე მაზრა კანონს გარეშე გამოვაცხადე. მერე რას ნიშნავს კანონს გარეშე გამოცხადება? ეს არ არის იურიდიული მცნება. მართალია 16 ტომში არსად არ არის გარეშე ასეთი კანონი ნაჩვენები, მაგრამ ის არის მე 17 ტომში დაწერილი. (რომელიც ქუთაისის პომპადურმა დასწერა ლეჩხუმში?) ის არის რევოლიუციონური კანონი. კანონის გამოცხადება მხოლოდ უბრალო გარეგნული ფორმალური გამოხატულებაა, იმ შინაარსის, რომელიც მე შიგნით მოვათავსე, და ეს შინაარსი ჩამოთვლილია ქვემოდ, როგორც მაგალითად გზების შეკვრა, კრედიტის მოსპობა და სხ. ეს არის და ეს იყო მინიმუმი იმ სისასტიკისა, რომელიც უნდა გამოეყენებინა ლეჩხუმის მაზრის წინააღმდეგ. ვიმედოვნებ ჩემ მიერ მიღებულმა ზომებმა გასჭრეს და ორ-სამ დღეში ლეჩხუმში სრული წესიერება იქნება დამყარებული, და იგი იქნება ისეთივე რევოლიუციონური, როგორიც იყო ამდენ ხანს. ამის ნიშნები არის უკვე“.

ასეთ ბრძნულ განმარტებას საბჭოს მენშევიკთა ფრაქციაში მხურვალე ტაში გამოუწვევია და, რასაკვირველია, ქუთაისის მუშათა საბჭოს კაჩუხაშვილის მოქმედება მოუწონებია და დაუდასტურებია.

## სპარსეთში
### სპარსელები ინგლისელების წინააღმდეგ

შუა სპარსეთში სპარსელების განწყობილება ინგლისელებისადმი საგრძნობლად შეიცვალა. თეირანში და სხვა მნიშვნელოვან ცენტრებში იმართება მიტინგები ირანის ყველა პოლიტიკურ პარტიების დასწრებით. მიტინგებზე ერთნაირი რეზოლიუციები გამოაქვთ. მოითხოვენ სპარსეთის საზღვრებიდან ინგლისელთა ჯარების განდევნას.

### ინგლისელები ყაზვინისკენ

კერძო ცნობებით მტკიცდება, რომ ინგლისელები ყაზვინისა და სპარსეთის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ წამოსულან.

### რევოლუციური მოძრაობა

სპარსეთში რევოლიუციური მოძრაობა თანდათან იზრდება. გილიანის პროვინციაში სპარსეთის ხალხოსანთა ბელადმა კუჩუკ-ხანმა თეირანიდან დანიშნული გუბერნიის უფროსები გარეკა და თავისი კაცები ჩააყენა.

### ინგლისელების ჯარები

გაზეთ „ადერბეიჯან“-ში ვინმე ალი-ყული-ზადე ინგლისელების შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის.

ბუნდერ-ბუშირის გზით სპარსეთში თავს იყრიან ინგლისელთა ჯარები. მათ უკვე მიაღწიეს ადერბეჯანის მხრივ კავკასიის საზღვრებს.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით ინგლისელთა ჯარების ნაწილები ჯულფამდის მისულან. როგორც სჩანს ინგლისელები არ კმაყოფილდებიან სპარსეთით და კავკასიის ხელში ჩაგდებაც ჰსურთ. იმავე ალი-ყული-ზადეს ცნობით სპარსეთის ზოგიერთი ტომები, რომლებიც იარაღით ხელში წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის დესპოტიზმს, არამც თუ არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ყოველ მხრივ ხელს უწყობენ ინგლისელებს. სპარსული პრესის ნაწილიც თანაგრძნობით ეგებება ინგლისელებს.

## სადახლოში მომხდარ ამბების გამო

შულავერში სადახლოს ამბების გამო ბორჩალოს მაზრის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების შორის შედგა საგამომძიებლო კომისია და რევოლიუციური ტრიბუნალი, სადაც შედის ცხრა კაცი, სამი თათარი, ორი სომეხი, ერთი ქართველი, ერთი რუსი, ერთი გერმანელი და ერთი ბერძენი. ამათ უკვე დაიწყეს მუშაობა. პირველი სხდომა მოხდა 20 მარტს, დაარსების დღიდან მრავალ სოფლებიდან, დარბეულ ქარხნის და სხვადასხვა აოხრებულ და აწიოკებულ ოჯახების პატრონებიდან თხოვნები მოდის. თხოულობენ ზარალის ანაზღაურებას. თხოვნების მიხედვით ზარალი ორ მილიონ მანეთს უდრის. მიმოსვლა სოფლიდან-სოფლამდე თითქმის სრულიად შეწყვეტილია, და თუ შეხვდებით მგზავრს, რამდენიმე კაცს ერთად შეიარაღებულთ. აქ სომხების არა თუ მეომარნი, თვით ტერტერებიც კი შეიარაღებულნი არიან, კარგი გმირივით ქალაქის ქუჩებში მხარზედ ვინტოვკა გადაკიდებულნი დაიარებიან.

საერთოდ, მაზრას მღელვარება ეტყობა, მშვიდობიან მცხოვრებთა შორის მრავალს შეხვდებით ნერვებით დაავადებულთ და ან კი რა გასაკვირველია, როდესაც გამუდმებით დღე თუ ღამ თოფის და ტყვიის-მფრქვევლების გრიალი გესმით. ამას მიუმატეთ ადგილობრივ სომხების პროვოკაციული მითქმა-მოთქმა; ქართველები გვღალატობენ, თათრები გვესევიანო და სხვა... ჰხედავთ ხალხი ვინტოვკებით თავიდან ბოლომდე შეიარაღებულია, აქვთ ტყვიის-მფრქვევლებიც. იჭერენ სხვა და სხვა ასპარეზებს... ამავე დროს თუ ვინმემ მოინდომა ქალაქიდან გამოსვლა, თავის გადარჩენა, არ გვიშვებენ, ჩვენთან უნდა მოჰკვდეთო. ასე უყვეს შულავერელებმა დიდს ნამსახურს ექიმს მირზაშვილს, როდესაც ის ისტუმრებდა ცოლშვილს თბილისში, ეტლზედ მისცვივდნენ ადგილობრივი სომხები და გადმოსხეს, ჩვენთან უნდა დაიხოცნეთო. ასეთია პოლიტიკა აქაურ სომხობისა, ყველა აქ მოსული მოხელენი არა სომხები ნაწილ-ნაწილ იპარებიან ქალაქიდან, სტოვებენ თუ ვისმეს რა აბადია. დღეს მოელიან საგუბერნიო კომისარს, რომელიც მისცემს შემდგარ კომისიას განმარტებებს მუშაობის შესახებ.

ვიფხვ.

## კორესპონდენცია

### აკლებული თრიალეთი

გაზეთებში დაწვრილებით იყო მოყვანილი ყველა ცნობები თრიალეთის ყველის და ერბოს ქარხნების აკლების შესახებ. ეხლა იქიდანვე იტყობინებიან რომ ხალხის განადგურებას ბოლო არ მოეღო და ავაზაკები ასობით ეცემიან სხვა და სხვა კერძო ქარხნებს და დაუნდობლად ანადგურებენ. ამ დღეებში, რაკი რომ გერმანელების, ქართველების და სხვა ქრისტიანების ქარხნების განადგურებას მორჩნენ და წაიღ-წამოიღეს იმათი თითქმის ხუთმეტ მილიონ მანეთად დარებული ქონება, ეხლა მიჰყოლიან თათრების ქარხნებს და იმისთანავე დღეს აყენებენ როგორც დღე დააყენეს ქრისტიანების ქარხნებს. კვირას ბორჩალოს განყოფილების საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს კ. ი. სვიმონიშვილს დეპეშით აცნობეს ბაშკიჩეტიდან იქაურმა ქარხნების პატრონებმა ჰაჯი იდრისამ და ემინ ალა აჯალოვმა რომ მათი ჰაჯი იდრისას ქარხანა დარბეული 800 000 მანეთი მთლად აიკლეს ადგილობრივ ქურდ მაცაცების ჯგუფებმა. გაცარცული ქონება ჯერ კიდევ შეიძლება თურმე გამოერთოს ავაზაკების ჯგუფებს და თხოულობს ზომების მიღებას ამიერ კავკასიის მთავრობასთან. სვიმონიშვილმა ეს თხოვნა თავისი დამატებით წარუდგინა მთავარ მინისტრს ევგენი ჰაგ. გეგეჭკორს.

სვიმონიშვილი თავის წარდგენებში მოხსენებით აცნობებს მინისტრს რომ ბორჩალოს მაზრის ხალხი, ნამეტნავად ქრისტიანობა, საშინელ გაჭირვებაში არის ჩავარდნილი. იანვრიდგან მთლად შეიკრა გზები იმ ბორჩალოს მაზრისა რომელიც ყოველისფერს საზრდოს აძლევდა მთელ თბილისს. ბორჩალოდანვე იგზავნებოდა ხორბალი, ფქვილი, ქერი, სიმინდი, ღვინო, კარტოფილი, ჰარხალი, შეშა, ნახშირი, ყველი, ერბო-კარაქი, საქონლის და ცხვრის ხორცი, ეხლა მთლად შეისპო იმის შემოტანა რადგანაც გზაში ყველგან უხვდებიან ავაზაკები, სძარცვავენ და ხოცავენ მგზავრებს. ეხლა ვერც თბილისიდან ვერასფერი გაუტანია სოფლებისათვის ხალხს, არიან ცუდ საცოდავად მომწყვდეულნი სოფელში. ამავე მოხსენებებში აცნობებს რომ ეხლა დადგა დრო როდესაც ხალხი უნდა შეუდგეს ხვნასა, თესვასა და სხვა მინდვრის და ტყის საქმესა და შიშით არამც თუ სამუშავოთ გამოვიდნენ მინდორში, საქონლის წყალზედ გარეკას ვერ ბედავენ. გარდა ამისა სვიმონიშვილი აღნიშნავს, რომ ამ თვის ბოლოს შირაქიდან დაიძვრება სხვილი და წვრილი რქიანი საქონელი ძროხა და ცხვარი, ცხენის ჯოგები და სხვა საქონელი, დაიძვრება აგრეთვე სხვა და სხვა მაზრებიდან, მთელ კახეთიდან. მილიონმა სულმა საქონელმა უნდა გზად გაიაროს მთელი ბორჩალოს მაზრა და უნდა დადგეს ზაფხულში საძოვრად თრიალეთის და ლორის რაიონებში ახალ ქალაქის და ალექსანდროპოლის მაზრებში და თუ ამ საქონლის დაძვრამდისინ ზომები არ იქნება მიღებული, არამც თუ საქონელს წაართმევენ, არამედ შეიძლება პატრონებიც დახოცონ, რადგანაც ავაზაკების ჯგუფები არავის არ ინდობენ, და მთავრობა იმათ ხმას არა სცემს და ზომებს არ ღებულობენ მათ წინააღმდეგ.

იქაური.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო რედაქტორო!

მომეცით ნება თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით განვაცხადო: ქართულ დრამატიულ საზოგადოების სტუდიის სეზონის წარმოდგენაში, რომლის განცხადებაც იბეჭდება გაზეთებში „ქართული თეატრის აღორძინება“-ს დევიზით, მე არავითარ მონაწილეობას არ ვიღებ და არც ვაპირებ მივიღო, რადგან სასცენო სტუდიის დაარსებას, რომელშიაც მხოლოდ და მხოლოდ მომავალი თეატრის მუშაკის მომზადება იქნება მიზნად, მე და ჩემი ამხანაგები ვაპირებთ, რომლის შესახებ საზოგადოების ერთმა ნაწილმა უკვე იცის. შეცდომის თავიდან ასაცილებლად, რადგან დრამ. საზოგადოების განცხადებაში არ არის გამოცხადებული სტუდიის ხელმძღვანელთა სია, იძულებული ვარ ასეთი წერილით მოგმართოთ.

ქართული თეატრის რეჟისორი
ალ. წუწუნავა.

## კალენდარი

**კვირა, მარტის 25**

კვირა სამი დიდ მარხვისა, ხმა 2.

ქართვ. † ხარება ყ-დ წმიდა ღვთის მშობლის და მარადის ქალწულის მარიამისა.

კათოლ. ხარება ყ-დ წმ. ღვთის მშობლისა.

სომეხ. მე-4 კვირა დიდ მარხვისა.

მაჰმად. ექ-შამშე 24 რ. ჯემანდულახირ. 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 24 რ. 1 დღე ფესახ ნისანისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

**ორშაბათი, მარტის 24**

მე-22 დღე დიდი მარხვისა.

ქართვ. კრება მთავარ ანგელოზისა გაბრიელისა.

კათოლ. წმ. ალექსანდრე და ლუდმირასი.

მაჰმად. დუ-შამბე 25 რ. ჯემანდულახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშენი 25 რ. ნისანისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

ქ. გორი
ექიმი
**პ. მ. ელიოზიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე (ერთობის ქუჩა სახლი ზაალიშვილისა).
(10—1522—6)

ექიმი
**მ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბონ-მონდის“ პირდაპირ.
თ—1018—15

ახალი [illegible]
ექიმების
**ს. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცისა**
20 მარტს გაიხსნა
**ყოველგვარ ავადმყოფთათვის**
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („ქართონი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
**ალექსანდრე დავითის ძის**
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუ“ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ჭირებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—6

დოქტორი მედიცინისა
მიხეილ ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ № 17—21.

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
**ჟორდანია**
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
ტელეფონი 14—37
1თ—960—23

## მისალმება*)

1

**ივერიის ასულთ**

იყვავილეთ, ისურნელეთ
ნაზო-ნარნარნო,
საქართველოს ფერიებო,
ლამაზ-მწყაზარნო!..
გარსკვლავეთ ფერი მოაცილეთ,
სხივთა ტრიალში,
გაეხვიეთ, იელვარეთ,
ცეკვა-ტრიალში!
ალერსითა, წმინდა ტრფობით
გვავიწყეთ ჭირნი,
მებრძოლთ გული გაუმაგრეთ,
ამხნევეთ გმირნი!
ქვეყნის ღამე ნაღვლიანი
ლხინით გვითენეთ!
ითამარეთ, ინესტანეთ,
ითინათინეთ!
გვენაცვალოთ თქვენ სამშობლო,
ვარდო-იანო!
გაუღიმე ჩვენ ქალთ, ბედო,
ნათელ მზიანო!
. . . . . . .

2

თქვენცა, მზე-დანო,
ქართლის დედანო,
მიიღეთ მგოსნის წრფელი სალამი!
სალოცავ ხატად
თქვენ მუდამ გხატავდ
და ეხლაც გხატავსთ ჩვენი ყალამი!
ივერთა კერა
გაიცამტვერა
ველურ ბარბაროსთ უხეშმა ხელმა!
თქვენ მკერდს მოგლეჯილს,
სამშობლოს ჯიჯილს
მუსრი გაავლო ომისა ცელმა!
ქართველთა თავზე
ბედითა ავზე
განგებამ ჭირი, ქამი აკვესა!
დედათა გული,
დამწვარ-დაგული,
დასერ-დაფლითა, მწარედ აკვნესა!
აწ დგას გული,
ჯანყით ხვეული,
უფსკრულის წინა სამშობლო მხარე...
ისმინეთ, დანო,
ქართლის დედანო,
თქვენ უნდა იყოთ მისი მომხმარე!
ცრემლი მოიშრეთ,
და ამოიძრეთ
სევდის ლახვარი გულში სობილი!
ნაშთენ ძეთაგან,
ძლიერ-მხნეთაგან,
შეჰქმენით მცველთა რაზმი წყობილი!
ნამდვილს და ყოფილს,
ლეგენდათ მკობილს,
ამბავსა ჩვენთვის ბევრჯელ უხსნია,
რომ ნგრევის ჟამსა,
განკითხვის წამსა,
მამული დედას ხშირად უხსნია!
არ ვცდები, მჯერა,
რომ თქვენში ჯერა
საგმირო სული არ ამოფხვრილა!
რომ უხეშ ძალის
წინაშე—ქალის
ამაყი ქედი მთლად არ მოხრილა!
მიიღეთ, დანო,
ქართლის დედანო,
თქვენ მწერალთაგან წრფელი სალამი!
სულით ნაკვერი,
გულით ნაწერი,
იძლევენით ჩვენგან წმინდა ალამი!
. . . . . . .

3

**ხელოვნების მსახურთ**

გამარჯობათ პარნასისკენ ეკლის გზით მსვლელნო,
მუზთა ქურუმ-მსახურებო, მაენო მეჯნურ ხელნო,
უშუალო ბუნებისა მეგობარო-მცველნო,
ცეცხლის გრძნობით დამწველნო და ცეცხლის გრძნობით მწველნო!
საქართველო ედემია, სიმღერების მხარე!
აქა შტვენს და მღერის, ცეკვავს მთელი არე-მარე!
ყველგანა ელერს ყოფნის ქნარი, ტკბილ ხმად დნება ჩანგი!
ქვეყანას და ზეცას ხიბლავს ათასგვარი ჰანგი!
აქ პირველად დაიბადა სიმფონია ხმათა,
აქ სიმები შეეფარდნენ ცხოველთ გულის თქმათა!
აქ მთის სევდა-ლხენას აქმევს სალამური მწირი,
აქ დუდუნებს ფანდური და დაზღანდარობს სტვირი!
ეშხით მთვრალი ალის გრძნობით იწვის აქა თარი,
ვნებითა თრთის ჭიანური, რეკს ზურნისა ზარი!
აქ დუდუკი მოაჰყვება სააშიყო გაფსა,
ხტის და ცეკვავს დიპლიპიტო, ჰქა გაჰქვს დაფსა!
აქ მოისმენ არწივთ ყივილს, ქუხილისა გრიალს,
შაშვთ ბაიათს და ბულბულის კრიმანჭულის წკრიალს!
სალამი შენ, მუსიკოსო! იძლევენ რჩევა ძმური
ნუ გიპყრავს შორისაკენ, მეგობარო, ყური:
შენ გარშემო რა ძვირფასი საგანძური არი—
მან განკურნოს უკურნელი, გააცოცხლოს მკვდარი!
. . . . . .

4

საქართველო ედემია! ღმერთი აქა ჰქმნიდა!
თავის გემოს, ხელოვნებას იგი აქა სცდიდა!
პოეტისა ზეაღმართი, შთაგონებით ვსცანი,
რომ აქ შეჰქმნა მან კაცის და ქალის სრული ტანი!
აქ ჩაჰბერა იმათ სული, აკავშირა ორი,
და აქ გახდა კაცი მაშინ შემოქმედის სწორი!
შეჰხედეთ ქართველის ტანს მშვენიერს, ამაყ საროდ მდგარსა
აპოლონის, დიონისის მზიურ ტანთა დარსა!
შეხედეთ ნაკვთსა სათაცნებოს კოლხიდელი ქალის,
გონებისა წარმტაცებელს და მომჭრელსა თვალის!
აფროდიტე წყნარ-ნარნარი, ან დიანა მსრბოლი,
ან და ფსიხე ამურისა კოცნის ფრთებზე მქროლი,
ვფიცავ, რომ იყვნენ შვენებითა მისი თანა-ტოლი!..
არ შეჰქმნიდნენ შედევრებსა ასე ცოტაოდენს
რომ ენახათ ფიდიოსსა, პრაქსიტელეს, როდენს,
ჩვენი მხარე დალოცვილი, ის ლამაზი ერი,
რომლისგან იხიბლება თვით იმისი მტერი!
მოქანდაკევ, სალამი შენ, და ეს რჩევა ერთი:
უცხოეთში ნუ დაეძებ—აქ არს შენი ღმერთი!..
. . . . . .

5

საქართველო ედემია თავის მიწა-წყლითა,
ფერადების შეხამებით, ფერადების ცვლითა!
ველსა ტურფად წამოუსხამს ზურმუხტისა შალი,
ბორცვსა ფეხთა უფენია მინაქარის ხალი!
აქ ყვავილი, რა ყვავილი, მირიადი ფერის,
მარგალიტობს, იაგუნდობს, ლალობს, ფერით მღერის!..
ტან-შერწყმულა, თმა-ხუჭუჭა მიწის პირმშო ძენი
სიოს ზღაპარ-ნანინაზე ტკბილად სთვლემენ ხენი!
მინდორ-ველთა სდარაჯობენ წარბ-შეკრული ხევნი,
პირ-დაღრენით გაწოლილან ვით ვეშაპნი, დევნი.
ნაკადული მოაჰყვება თვის სადაფის სწრაფსა,
აქ ჩანჩქერი ბრაზიანი ანთხევს რძიან ქაფსა.
აქ მოცურვენ მდინარენი—ოქრო-ვერცხლის ზოლნი,
სურნელოვან სარეცელში ნებივრად წოლნი.
აქ ცის სარკედ გადაშლილა შავი ზღვისა მკერდი,
ქნარო, ქნარო, რომელი ხარ, რომ მისთვის არ ჟღერდი?!
მოხიბლულმა შემოქმედმა გაიჩინა სხვაში:
თავის ყალამს სამხატვროსა აწობდა ამ ზღვაში!
ახ, ამ წალკოტს ვერ აგიწერთ ენა მჭევრად მქები!..
გარს უვლიან მას ფერხულით დიდებული მთები!
იალბუზი და მყინვარი იქ მეფობენ სწორად,
მტკიცედ დგანან ღვთის ტახტისგან არც თუ ისე შორად!
ამაყ თავს და შუბლს უშვენებს მათ დოლბანდი თეთრი,
აგვირგვინებს მათ მზე, მთვარე, ხანაც ელვა მკვეთრი!
როგორც ჩვენში არ ლაჟვარდობს ცა არსად ისე:
ფირუზოვან ღიმილისგან დნება სახე მქისე!..
ვით გოგონას მოკეკლუცე და ქაქუნა თვალნი
იცინიან ვარსკვლავები ცის ძვირფასი თვალნი!
ამ წალკოტში რას არ ნახავ, რა ცხოველს, რა ფრინველს:
შვენებისგან ნაკურთხსა და შვენებისთვის მწირველს!
აქ პირველად იქცეოდა ღვთის მხატვრული სული,
აქ შეიქმნა კავკასიურ რასის სახე სრული!..
ჰე, მხატვარო, მადლიანსა ყალამს სტაცე ხელი:
შენ წინ არის ფერთ სამეფო, მდიდარი და ვრცელი!

(დასასრული იქნება)

კ. მაყაშვილი.

*) წაკითხულია მწერალთა საღამოზე 19 იანვარს.